დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „აისი“
დირექტორის 2020 წლის 3 აგვისტოს
N 02-01-181 ბრძანებით
შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის „აისი“
დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის
N02-01-200 ბრძანებით
შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის „აისი“
დირექტორის 2022 წლის 27 ივნისის
N02-01-218 ბრძანებით

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა კონკურსით შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არეგულირებს აპლიკანტების (კონკურსის წესით) შერჩევას პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის.

მუხლი 2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები

1. კოლეჯი და საწარმო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ჩართულია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ავრცელებს ინფორმაციას სწავლებისა და შესაბამისი პირობების თაობაზე და იძიებს აპლიკანტებს;
2. აპლიკანტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირდება ელექტრონულ ბაზაში;
3. კოლეჯი და საწარმო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აპლიკანტების შერჩევის მიზნით ერთობლივად ატარებენ კონკურსს/გასაუბრებას;
4. კონკურსის/გასაუბრებისას ივსება შეფასების ფორმა და ჯამდება რამდენად აკმაყოფილებს აპლიკანტი მოთხოვნებს (კრიტერიუმებს);
5. კონკურსში მონაწილეობის მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია კოლეჯში წარმოადგინოს კოლეჯის მიერ კანონმდებლობით მოთხოვნილი შესაბამისი დოკუმენტაცია;
6. გასაუბრება ყველა აპლიკანტთან ერთნაირი სქემით მიმდინარეობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება. შეფასება ხორციელდება შეფასების ფორმის გამოყენებით (ფორმა №1).
7. კოლეჯი ვალდებულია, შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწოდოს ინფორმაცია შერჩევის პროცედურის შესახებ.
8. შერჩევის პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.
9. დადებით შეფასებად ითვლება თუ აპლიკანტი დააგროვებს საერთო ქულების რაოდენობის მინიმუმ 51ქულას.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

1. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელმაც რეგისტრირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სპეციალურ ვებ-გვერდზე ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს კოლეჯს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობას ღებულობს აპლიკანტი, რომელიც რეგისტრირებულია კოლეჯის შესაბამის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

მუხლი 4. კონკურსის ჩატარების ფორმა და პირობები

1. კონკურსის ფორმაა გასაუბრება;
2. კონკურსს ატარებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია;
3. კონკურსის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ- ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით;
4. გასაუბრება ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ აუდიტორიაში ან სხვა ალტერნატიურ ფართში პარტნიორებთან შეთანხმებით;

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები.
2. საკონკურსო კომისია დაკომპლექტდება:

ა) პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლისაგან/წარმომადგენლებისაგან (საჭიროების შემთხვევაში);

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელისაგან/წარმომადგენლებისაგან/.

3. აპლიკანტის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტებს წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (ფორმა №1)
5. გასაუბრების დასრულების შემდეგ კომისიას თითოეული აპლიკანტის შეფასების შედეგების შესახებ ქულები შეაქვს აპლიკანტთა გასაუბრების საბოლოო შეფასების ფორმაში (ფორმა №2)
6. კონკურსის საფუძველზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 51ქულა.
7. ჩასარიცხი აპლიკანტების რაოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიის მიხედვით.(უმაღლესიდან უდამბელესი ქულის მიხედვით)
8. კომისიის მიერ ხდება კონკურსის შედეგების განხილვა და იმ აპლიკანტების გამოვლენა, ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მოიპოვა საკონკურსო უპირატესობა და ამის შესახებ ეცნობება აპლიკანტს/აპლიკანტებს.
9. თანაბარი ქულის მქონე აპლიკანტები ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
10. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსის შედეგები აისახება შესაბამისი სხდომის ოქმში.
11. კოლეჯის მიერ კონკურსის შედეგების შესაბამისად, აპლიკანტებს მიენიჭებათ მსმენელის სტატუსი და აისახება ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის წარმომადგენელი უკავშირდება იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. კოლეჯი ამ კატეგორიის პირთათვის უზრუნველყოფს მსმენელის სტატუტის

მინიჭებას, ხელშეკრულების გაფორმებას და ელექტრონულ სისტემაში ასახვას შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა და კოლეჯის უფლება- მოვალეობები

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს კომისიის მიერ მისი შეფასების წესს/ შეფასების კრიტერიუმებს;

2. კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს გასაუბრებაზე თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა/პასპორტი).

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსზე არ დაიშვება.

4.კონკურსის დღეს კონკურსზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს კონკურსის სხვა დღეს ჩატარება, გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად.

5.აპელაციის წესი და ვადები:

ა) აპლიკანტს შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება
წარმოეშობა შედეგის გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. აპლიკანტი შედეგების
გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც იმავე დღეს
ქმნის სპეციალურ კომისიას, განსხვავებული შემადგენლობით, ხოლო კომისია იღებს
გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ
დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.პროფესიულ სტუდენტს კომისიის
გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

ფორმა №1

სსიპ კოლეჯი „აისი“

კომისიის წევრების მიერ აპლიკანტის ინდივიდუალური შეფასების ფორმა

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა -

N	აპლიკანტის გვარი,სახელი	პირადი ნომერი	კომუნიკაციის უნარი (15 ქულა)	მოტივაცია (30 ქულა)	სწავლისა და პროფესიული განვითარების ათვის მზაობა (30 ქულა)	პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა და/ან გამოცდილება.(15 ქულა)	კრეატიულობა და მოქნილობა (10 ქულა)	ქულათა ჯამი
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								

კომისიის წევრის სახელი და გვარი

ხელმოწერა

ფორმა №2

სსიპ კოლეჯი ,,აისი“

კომისიის წევრთა მიერ აპლიკანთა საერთო შეფასების ფორმა

პროფესიული მომზადების-პროფესიული გადამზადების პროგრამა -

N	აპლიკანტის გვარი,სახელი	პირადი ნომერი	მიღებული საბოლოო ქულა	შენიშვნა
1				
2				
3				
4				
5				

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები: